საგაზეთო ჩანართი

# ინტელექტი

თვითმმართველობა და განვითარება

№9 / 2010



## ძვირფასო მკითხველო!




ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“ გილოცავთ დამდეგ 2011 წლის შემობრძანებას და ქრისტეშობის ბრწყინვალე დღესასწაულს!

2011 წელი აღმოსავლური კალენდრის მიხედვით თეთრი ბოცვრის წელია, რომელიც გვპირდება დაბრკოლებების დაძლევას. თითოეულ თქვენგანს გიუსურვებთ, ყველა დაბრკოლება უმტკივნეულოდ გადაგელახოთ, ბედნიერი, წარმატებული და მშვიდობიანი წელიწადი გქონოდეთ. დასახული ამოცანების შესრულების, ახალი იმედების, მშვიდობისა და აღმავლობის წელი ყოფილიყოს ყველა თქვენგანისათვის 2011 წელი!

# მუნიციპალიტეტი ხალხის თვალით – პრობლემები და მოლოდინები

## სოციოლოგიური კვლევის ანგარიში შუახევისა და ქედის მუნიციპალიტეტში

*დასაწყისი ჩანართი №8*

განათლების სისტემით უკმაყოფილო რესპონდენტებისათვის, სკოლის ინფრასტრუქტურულ პრობლემებთან ერთად, იქ არსებული სოციალური და აკადემიური მდგომარეობაც სავალალოა. რისი მიზეზიც, როგორც თავად დაასახელეს, სკოლებში არსებული განუკითხაობა, არაპროფესიონალიზმი და მართვის თანმიმდევრული მექანიზმის არარსებობა თუ გაუმართაობაა. კვლევის შედეგად გამოიკვეთა კიდევ ერთი საინტერესო გარემობა: რესპონდენტები პრაქტიკულად ერთსულოვნები აღმოჩნდნენ ისეთი ინფრასტრუქტურული ობიექტების შეფასებისას, როგორიცაა კულტურულ-საგანმანათლებლო და გასართობი დაწესებულებები (კლუბები, ბიბლიოთეკები, სასადილოები, სპორტული მოედნები, ინტერნეტ-კაფეები და ა.შ.). შუახევში გამოკითხულთა 6, ქედაში კი – 9 პროცენტი მიიჩნევს ამ შინაარსის ობიექტების არარსებობას პრობლემად.

ორივე მუნიციპალიტეტში მოსახლეობის თანაბარი რაოდენობა (15 პროცენტი) განიცდის საკუთარ თემსა თუ სოფელში საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების დეფიციტს.

ამგვარი დამოკიდებულება მძიმე სოციალური და მეტწილად ეკონომიკური პირობებით აიხსნება. პროცესი თავის ბუნებრივ ფაზაში იმყოფება – როცა აუცილებელი ყოფითი საჭიროებები დაუძლეველია, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და მით უფრო, გასართობი ობიექტების ინტენსიური მოთხოვნის პერსპექტივა ჯერ ისევ შორეულია.

შუახევში გამოიკვეთა ტენდენცია, რომ პრობლემათა აქტუალობა შედარებით დანაწევრებულია ცალკეულ სოციალურ ჯგუფებს შორის. გამოკითხული რესპონდენტები აქცენტირებენ თავიანთი საქმიანობის სფეროში განთავსებული პრობლემების ირგვლივ. შედარებით ერთსულოვანნი კი – დასაქმებისა და გზების პრობლემებთან მიმართებაში არიან.

ქედაში კი რესპონდენტთა უმრავლესობის პოზიცია შეჯერდა სამი პრობლემის გარშემო – დასაქმების, წყლისა და კანალიზაციის სისტემის გაუმართაობისა და ტრანსპორტით არასათანადო უზრუნველყოფის ირგვლივ.

### ბიზნესის ხელშეწყობა

გამოკიხული მოსახლეობის დაახლოებით მესამედმა (შუახევი - 32%, ქედა -36%) პრიორიტეტად ბიზნესის ხელშეწყობისაკენ მიმართული ღონისძიებების გატარება მიიჩნია.

რესპონდენტთა ერთი ნაწილისათვის ბიზნესის ხელშეწყობა იაფი კრედიტით სარგებლობის შესაძლებლობაში გამოიხატება. ასევე დაფიქსირდა კვალიფიციური პერსონალის დახმარების, ლიცენზიებისა და ნებართვების მიღების სიმარტივის მოთხოვნა.

ექსპერტთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ამ ეტაპზე ქართული საბანკო სექტორიც არაა მზად მუნიციპალიტეტში მცირე ბიზნესის განვითარებაზე სამუშაოდ, რადგან მიზანი მოკლევადიანი ეფექტებია და არა – სოციალური შედეგები.

ბიზნესის სავარაუდო სამომავლო აქტიურობის სფეროებად სახელდება ტურიზმი (შუახევი - 20%; ქედა - 33%) და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი წარმოება (შუახევი - 48%, ქედა - 49%). საო-

*გაგრძელება შემდეგ გვერდზე*

*დასაქმების სტრუქტურის ჭრილი განათლების დონის მიხედვით ქედაში*




| ქედა | არასრული საშუალო | საშუალო განათლება | პროფესიული | უმაღლესი |
|---|---|---|---|---|
| სახელმწიფო სექტორი | 0 | 3 | 4 | 3 |
| ბიზნეს სექტორი | 1 | 4 | 1 | 6 |
| განათლება, კულტურა, ჯანდაცვა | 1 | 5 | 10 | 49 |
| სოფლის მეურნეობა (საოჯახო მეურნეობა) | 12 | 131 | 41 | 35 |

**დიაგრამა №7**

*შუახევში ჩატარებული კვლევის მიხედვით გამოვლენილი პრობლემების აქტუალობის მწკრივი*




**დიაგრამა №8**

*ქედაში ჩატარებული კვლევის მიხედვით გამოვლენილი პრობლემების აქტუალობის მწკრივი*




**დიაგრამა №9**

*რისკის შეფასების მწკრივი ქედის მინიციპალიტეტისათვის*



*რისკის შეფასების მწკრივი შუახევის მინიციპალიტეტისათვის*

**დიაგრამა №10**

# მუნიციპალიტეტი ხალხის თვალით – პრობლემები და მოლოდინები

## სოციოლოგიური კვლევის ანგარიში შუახევისა და ქედის მუნიციპალიტეტში

*პირველი გვერდიდან*

ჯახო ტურიზმზე მოთხოვნა მკვეთრად დაბალია შუახევში (13%). ქედაში ეს მაჩვენებელი შედარებით დიდია (24 %).

### ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მაღალმთიანი მუნიციპალური ერთეულებისათვის ერთ-ერთი სერიოზული პრობლემა სამედიცინო მომსახურებაა. შუახევსა (30%) და ქედაში (32%) გამოკითხულთა უმეტესობამ ეს პრობლემა აქტუალურ ნიშაში განათავსა.

მომსახურების ხელმისაწვდომობას ზღუდავს როგორც სამედიცინო მომსახურების მაღალი ფასები და არასაკმარისი სოციალური დაცვა, ასევე სათანადო ინფრასტრუქტურის არქონაც: სოფლებში და ზოგან თემებშიც არ ფუნქციონირებს ამბულატორიები, შიდა მუნიციპალური საავადმყოფოების სერვისები შეზღუდული და არასასურველი ხარისხისაა, თანაც ისინი სრულად ვერ აკმაყოფილებენ სამედიცინო მომსახურების მიღების ადგილობრივ მსურველთა მოთხოვნებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საპენსიო ასაკის შემცირება რესპონდენტებს სიღარიბესთან ბრძოლისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ გამოსავლად ესახებათ.

### სოფლის მეურნეობა

**„სიღარიბის მიზეზი არა სურსათის ნაკლებობა, არამედ დემოკრატიის დეფიციტია, შიმშილს სულაც არ იწვევს მხოლოდ საკვები პროდუქტების უკმარისობა ამა თუ იმ ქვეყანაში, გაცილებით მნიშვნელოვანია ამ ქვეყნის ინსტიტუციონალური არასრულყოფილება და ინფრასტრუქტურის განუვითარებლობა» – ამარტია სენი, ნობელის პრემიის ლაურეატი.**



ისეთი მაღალმთიანი თვითმმართველი ერთეულებისათვის, როგორიცაა შუახევი და ქედა, სოციალურ-ეკონომიკური მოძრაობის მთავარ ღერძს სოფლის მეურნეობა წარმოადგენს. მათ საკმაოდ ძველი აგროკულტურა გააჩნიათ. ადგილობრივების სოციალური, ეკონომიკური და ფსიქოლოგიური გარემო სასოფლო-სამეურნეო პროცესებზე აქტიურადაა მიბმული.

სოფლის მეურნეობის სექტორში რესპონდენტთა აქცენტები რამდენიმე სხვადასხვა დარგზე გადანაწილდა, ძირითადად თანაბრად (იხილეთ დიაგრამა 10).

- სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ტექნიკითა და ქიმიკატებით უზრუნველყოფა;
- სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების ნერგებით, ჩითილებითა და სათესლე მასალით უზრუნველყოფა;
- ახალი სასოფლო-სამეურნეო კულტურების დანერგვა;
- სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგების განვითარების ხელშეწყობა (მეხილეობა, მებოსტნეობა, მეცხოველეობა);
- სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგების განვითარების ხელშეწყობა (მევენახეობა, მეფუტკრეობა, მეთევზეობა);
- სოფლის მეურნეობის დამხმარე დარგების განვითარების ხელშეწყობა (სამკურნალო მემცენარეობა).

რესპონდენტებმა მცირედი უპირატესობით სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგების განვითარების ხელშეწყობა (მევენახეობა, მეფუტკრეობა, მეთევზეობა) გამოარჩიეს (18%).

სოფლის მეურნეობის სექტორში დასაქმებულთა ერთ-ერთ ძირითად პრობლემას პროდუქციის რეალიზაცია წარმოადგენს. ბაზრების ტერიტორიული სიშორე, ტრანსპორტით არასათანადო უზრუნველყოფისა და ტვირთის გადაზიდვის მაღალი ტარიფების არსებობისას მოუწესრიგებელი საგზაო ინფრასტრუქტურის ფონზე გლეხს არამომგებიან პირობებში აყენებს.

არც სახელმწიფოს მხრიდან სოფლის მეურნეობის დარგის განვითარების კუთხით არსებული პოლიტიკა არ ემსახურება სასათბურე პირობების შექმნას და პირდაპირი სუბსიდიების განხორციელებას. ისევე როგორც სხვა დარგებში, სოფლის მეურნეობაშიც მთავარ პრიორიტეტს ბიზნესისა და ინვესტიციებისათვის ხელსაყრელი კლიმატის უზრუნველყოფა წარმოადგენს.

რესპონდენტები ამ სიტუაციიდან გამოსავალს სოფლის მეურნეობასა და მასთან დაკავშირებულ დარგებში სახელმწიფო პროგრამების მეშვეობით საინვესტიციო პროცესების გააქტიურებაში ხედავენ. ასევე ხაზს უსვამენ ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციური პროცესების თანდათანობით დანერგვის საჭიროებას.

დაფიქსირდა არამხოლოდ ეკონომიკური, არამედ მწვავე სოციალური მოთხოვნა ხილ-ბოსტნეულის გადამამუშავებელი საწარმოების არსებობაზე. ამ ტერიტორიულ ერთეულებზე სოფლის მეურნეობა და გადამამუშავებელი მრეწველობა მოსახლეობის დასაქმებისა და შემოსავლების ზრდის საუკეთესო საშუალებაა.

სიღარიბე სოფლად მნიშვნელოვნადაა განპირობებული მიწების დეფიციტით. შინამეურნეობებში მიწის შეზღუდული რესურსები მჭიდროდ უკავშირდება სოფლად სიღარიბეში მოხვედრის რისკს. სოფელში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ფენების დიდი ნაწილი საერთოდ ვერ ამუშავებს სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთებს, საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით ეს მაჩვენებელი აჭარის მაღალმთიან სოფლებში 36 პროცენტია. სოფლად მცხოვრებ რესპონდენტთა გარკვეული ნაწილი მიუთითებს, რომ არ გააჩნია შემოსავლის წყარო სოფლის მეურნეობიდან, რაც მათი შემოსავლების დივერსიფიცირებას უქმნის საფრთხეს. ასეთ პირობებში სოციალური ტრანსფერები, ძირითადად პენსიების სახით, არის შემოსავლის მთავარი წყარო სოფლად მცხოვრები დაბალშემოსავლიანი შინამეურნეობებისათვის.

ნიშანდობლივია ისიც, რომ ამ ტერიტორიებზე წარმოებული პროდუქცია, მცირე გამონაკლისის გარდა, არაკონკურენტუნარიანია, როგორც შიდა, ისე, გარე ბაზარზე. საქმე იმაშია, რომ გლეხს დაკარგული აქვს სურსათის წარმოების მოტივაცია, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დიდი ნაწილი მიტოვებულია და უკეთეს შემთხვევაში, საძოვრის ფუნქცია აქვს.

კიდევ ერთი პრობლემა, რომელზეც რესპონდენტებმა ყურადღება გაამახვილეს, სოფლის მოსახლეობისაგან, განსაკუთრებით ახალგაზრდებისაგან დაცლას უკავშირდება.

ქედისა და შუახევის მუნიციპალიტეტების განაპირა სოფლებში, სადაც შედარებით მკაცრი ბუნებრივი კლიმატია, ირიგაციის განუვითარებლობა და ფიზიკური იზოლაცია საცხოვრებელ პირობებს კიდევ უფრო ამძიმებს.

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, ვფიქრობ, მთავრობამ უნდა შეიმუშაოს აგრარული პოლიტიკის ახალი კონცეფცია სწორად განსაზღვრული პრიორიტეტებით, რომელშიც არა უბრალოდ აგრარული, არამედ უფრო ფართო – სოფლის, როგორც ტერიტორიული ერთეულის, განვითარების პოლიტიკა იგულისხმება, ანუ ერთმანეთთან შეახამოს აგრარული, სოციალური და ყოფითი პრობლემების კომპლექსურად გადაჭრა; ხელი უნდა შეეწყოს სახელმწიფოს გადაქცევას ქვეყნის სოფლის მეურნეობის პროდუქციის არა მარტო მთავარ დამკვეთად, არამედ მთავარ მყიდველად და გამანაწილებლადაც იმ შემთხვევაში, თუ საჭირო იქნება ბაზარზე მდგომარეობის სტაბილიზაცია.

დასასრულს, განხილული მუნიციპალიტეტების ეკონომიკური (მათ შორის, სასურსათო) უშიშროება და განვითარება, მაინც, დამოკიდებულია საკუთარი შრომით შექმნილ გარანტიაზე, რომ ადგილობრივები დაუბრუნდებიან, აღორძინებენ მეურნეობებს და შიმშილის საფრთხე აღარ დაემუქრება სოფელს. ეროვნული სახელმწიფოებრიობის ეკონომიკური პროგრამის ერთი-ერთი ცენტრალური პრინციპიც ხომ ეს არის.

***ეკონომიკის ექსპერტი***
***ნონა ხუჯაძე***

*სოფლის მეურნეობის სფეროს ძირითადი მიმართულებების მიხედვით აქცენტების გადანაწილების მუნიციპალური ჭრილი*




**დიაგრამა №11**

საგაზეთო ჩანართი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. ტექსტში მოყვანილი მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას.

საგაზეთო ჩანართს გამოსცემს ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“

საგაზეთო ჩანართის რედაქტორი: გურანდა შაინიძე

საგაზეთო ჩანართი გამოიცემა პროექტის "აჭარის რეგიონის თვითმმართველობის ორგანოების შესაძლებლობების გაძლიერება გრძელვადიანი მდგრადი განვითარებისათვის" ფარგლებში

საგაზეთო ჩანართი „ინტელექტი“
მისამართი: ბათუმი, ალმაშენებლის ქ.№13
ტელ.: 41650, ფაქსი: 41640
ელ.ფოსტა: info@intellect.org.ge
ვებ.გვერდი: www.intellect.org.ge